პრეზიდენტ
ჰენრი ბ. აირინგის მიერ
პირველ პრეზიდენტთა
პირველი მრჩეველი



რაოდენ დიდი იქნება თქვენი სიხარული

ცხოვრებაში სიხარულის სულ რამოდენიმე განცდა თუ მოიძებნება ისეთი, რაც მასზედ უფრო ტკბილია და ხანგრძლივი, ვიდრე ვინმეს დახმარება იესო ქრისტეს მიერ აღდგენილი სახარების გულში ჩაკვრა. ეს ის სიხარულია, რომლის შესაძლებლობაც ეკლესიის ყოველ წევრს გააჩნია. ჩვენი ნათლობისას ჩვენ დავდეთ პირობა, რომ ვიდგებოდით ღვთის მოწმედ ყოველი დროისა და ადგილის მიუხედავად, ყველაფერში,ყოველ ადგილას, სადაც კი ვიქნებით, სიკვდილამდე, რათა ვიყოთ ჩვენი ცოდვებისაგან ღვთის მიერ განთავისუფლებულნი და მიკუთვნებულნი პირველი აღდგომის ადამიანთა რიცხვს მარადიული ცხოვრებისათვის (იხილეთ მოსია 18:9).

ეკლესიის ყოველი წევრი კისრულობს ეკლესიისათვის არსებული პასუხისმგებლობის იმ წილს, რომლის თანახმად იგი ავრცელებს იესო ქრისტეს სახარებას მთელს მსოფლიოში, სადაც კი არ უნდა ცხოვრობდეს და რამდენი ხნითაც არ უნდა იმყოფებოდეს შესაბამის ადგილას. უფალმა გარკვევით ბრძანა: „და აი, დაგგზავნით თქვენ ადამიანთა გასაფრთხილებლად და დასამოწმებლად, რათა ყოველმა გაფრთხილებულმა ამცნოს თავისი მოყვასი ამის შესახებ“ (მოძღვრება და აღთქმები 88:81). სრული დატვირთვის მისიონერები არიან ის ადამიანები, რომლებსაც გააჩნიათ ძალაუფლება განანათლონ ისინი, რომელნიც ჯერ არ არიან ეკლესიის წევრები. თავის მხრივ ეკლესიის წევრებს გააჩნიათ ძალაუფლება მოიძიონ ისინი, ვინც უფალმა განამზადა მისიონერთა განსწავლისათვის.

ჩვენ უნდა გამოვამჟღავნოთ ჩვენი რწმენა იმის მიმართ, რომ უფალმა უკვე მოამზადა ჩვენს ირგვლივ მყოფი ადამიანები განსწავლისათვის. მან იცის მათი ვინაობა და მან იცის ის, თუ როდის იქნებიან ისინი მზად, და ამასთან ერთად შეუძლია სული წმინდის ძალით ჩვენი მათკენ მიმართვა და შთაგვაგონებს იმ სიტყვებით, რომელთა ძალით ჩვენ მოვიწვევთ მათ განსწავლისათვის. დაპირება, რომელიც მიიღო მისიონერმა 1832 წელს უფლისაგან, ასევე წარმოადგენს იმ დაპირებას, რომელიც გვეძლევა ჩვენ იმ ადამიანთა მოსაძიებლად, რომელნიც მისიონერთა განსწავლისათვის

არიან გამზადებულნი. უფალმა ბრძანა, რომ იგი გამოგზავნიდა ნუგეშისმცემელს, რომელიც ასწავლიდა მას ჭეშმარიტებას და გზას, რომელსაც იგი უნდა გაჰყვეს, და ვიდრე იგი ერთგული იქნება, იგი კვლავ დაადგავს მას ხორბლის თავთავთა გვირგვინს (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 79:2–3).

და თავდადებული მისიონერისათვის მიცემული უდიდესი სიხარულის დაპირება ასევე გვეკუთვნის ჩვენც, ერთგულ წევრებს, რომელნიც ვუთმობთ ჩვენს გულებს მისიონერულ მსახურებას.

უფალმა ბრძანა, რომ როდესაც მამამისის სასუფეველში მიგვყავს ერთი სული, ჩვენი ნეტარება დიდია, მაგრამ რამხელა იქნება ჩვენი ბედნიერება თუ მრავალ სულს მივიყვანთ მასთან!

ჩვენს წინაშე მისი სახარებაა, მისი კლდე, და მისი ხსნა.

თუ ჩვენ ვკითხავთ მამას მისი სახელით, იმის რწმენით, რომ მივიღებთ, მაშინ მივიღებთ სული წმინდას, რომელიც გაგვიცხადებს ყველაფერს, რაც მიზანშეწონილია ადამიანთათვის (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 18:16–18).

იმის გარდა, რომ სული წმინდა გვეხმარება მზა სულების ამოცნობასა და მათი განსწავლისათვის მოპატიჟებაში, უფალმა, აგრეთვე, ჩვენს წინამძღვრებად მოიხმო და განასწავლა ეკლესიის ხელმძღვანელები. 2000წ. 28 თებერვლით დათარიღებულ წერილში პირველმა პრეზიდენტობამ ეპისკოპოსებსა და მეურვეობის ხელმძღვანელებს მისიონერული სამსახურის აღმატებული დავალება დააკისრა.[1] მეურვეობისა ან სამრევლოს საბჭოს დახმარებით, სამღვდელოს აღმასრულებელი კომიტეტი ავითარებს მისიონერულ გეგმას გარკვეული ერთეულისათვის. ეს გეგმა შეიცავს რჩევებს იმაზედ, თუ როგორ შეუძლიათ წევრებს იმ ადამიანების მოძიება, რომლებიც მზად არიან მისიონერთა სწავლებისათვის. ამისათვის არსებობს ადამიანი, რომელსაც უხმობენ მეურვეობის ან სამრევლოს მისიის ხელმძღვანელად. მისიის ამ ხელმძღვანელს სრული დატვირთვის მისიონერებთან და მათ მოწაფეებთან მჭიდრო კონტაქტი გააჩნია.

არსებობს უამრავი ხერხი საიმისოდ, რომ უკეთესად აღასრულოთ თქვენი ვალდებულება მისიონერთათვის ადამიანთა მოსაძიებლად, რათა მათგან მიიღონ სწავლება. რაც უფრო მარტივია ხერხი, მით უკეთესია.

ილოცეთ სული წმინდის ხელმძღვანელობისათვის. ესაუბრეთ ადგილობრივ ხელმძღვანელებსა და მისიონერებს, ჰკითხეთ მათ, მათი შეთავაზების შესახებ და დაპირდით დახმარებას. შეაგულიანეთ ყოველი, ვინც თქვენთან ერთად ჩაბმულია ამ საქმიანობაში, და ყოველთვის, რასაც კი არ უნდა ამბობდეთ ან აკეთებდეთ, იყავით მოწმენი იმისა, რომ იესო არის ქრისტე, და რომ ღმერთი პასუხობს თქვენს ლოცვებს.

მე ვამოწმებ, რომ სული წმინდა მიგმართავთ თქვენ მათკენ, ვინც ეძებს ჭეშმარიტებას, იმ დროს, როდესაც თქვენ ლოცულობთ და იღწვით ამ მიმართულებით. გამოცდილებიდან მე ვიცი, რომ თქვენი სიხარული გაგრძელდება მათთან ერთად, ვინც გააკეთებს არჩევანს მიიღოს სახარება გულში და შემდგომ განიცადოს იგი რწმენაში.

შენიშვნა

1. იხ. "News of the Church: Ward and Branch Missionary Work Emphasized," *Liahona,* 2002წ. აგვისტო, გვ 4.

ამ მოწოდების სწავლება.

- *Teaching, No Greater Call* გვასწავლის იმათ შეგულიანებას, ვისაც ჩვენ ვასწავლით, დასახონ მიზნები, რომლებიც დაეხმარება მათ ცხოვრებაში გაატარონ შესწავლილი პრინციპები (იხ. გვ.159). ოჯახთან ერთად განიხილეთ შესაძლებლობა გააიგივეოთ მისიონერული სამსახურის ლოცვა-კურთხევანი, როგორც ეს ნახსენები აქვს პრეზიდენტ აირინგს, და თუ თქვენ აღიძვრებით ამით, მოიწვიეთ ოჯახი, რათა დასახონ მიზანი სახარების მათ მიერ გაზიარებისათვის.
- მხედველობაში გქონდეთ საოჯახო დისკუსიების ჩატარება სახარების გაზიარების მიზნით. გახსოვდეთ პრეზიდენტ აირინგის რჩევა: „რაც უფრო მარტივია ხერხი, მით უკეთესია". დისკუსიების თაობაზე დამატებითი ინფორმაცია იხილეთ *Teaching, No Greater Call,* გვ. 160.

ახალგაზრდები

მრავალი მისიონერი ჩემს ცხოვრებაში

ელისაბეთ ს. სტაილის მიერ

პირველ კვირას, როდესაც ეკლესიაში მისიონერებთან ერთად მივედი, მე ვიცანი ის ადამიანები, რომლებთანაც ერთად ვიზრდებოდი და ვიცნობდი მათ დასახლებიდან. მე დავინახე ჩემი სკოლის ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი, დაწყებითი და მაღალი კლასების მდივნები, გოგონა, რომლის მიმართაც არ ვიყავი მაინცდამაინც კეთილგანწყობილი წარსულში, და ის ახალგაზრდა მამაკაციც კი, რომელზედაც ძალიან ვიყავი შეყვარებული.

ყოველ მათგანს დიდი ზეგავლენა ჰქონდა ჩემზე დიდი ხნის განმავლობაში. ჩემი საუკეთესო მეგობარი იყო ახალგაზრდა ქალი, უაღრესად პატიოსანი, და ზუსტად მისი გულისათვის მე გადავწყვიტე არ დამეკარგა ეკლესიისადმი ინტერესი. მდივნები, რომლებსაც სკოლიდან ვიცნობდი, ის ადამიანები იყვნენ, რომლებიც დამეხმარნენ იმის გაცნობიერებაში, რომ მე გამაჩნია გარკვეული მნიშვნელობა. მე გავიგე ღვთაებრივი სიყვარულისა და მოწყალების აზრი იმ ქალბატონისაგან, რომელიც ჩამეხუტა მიუხედავად მის მიმართ წარსულში ჩემი არც თუ ისე კეთილი საქციელისა. ჩემი სკოლის შეყვარებული ჩემთვის ისეთი კარგი მაგალითი იყო, რომ ამით მე ვიცანი მასში მისი ნათელი და მოვისურვე მის გარემოში ყოფნა.

ეს გამოცდილებები დამეხმარნენ (ვიდრე პირველად წარვსდგებოდი მისიონერთა წინაშე) იმის გაცნობირებაში, რომ მამა ზეციერმა მომამზადა სახარების მისაღებად იმ ადამიანების მეშვეობით, რომლებიც ჩემს ირგვლივ იმყოფებოდნენ. მათ მასწავლეს, რომ სულ მცირე რამეს შესაძლოა მოჰყვეს დიდი შედეგი. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მე დავინახე ის, რომ მისიონერული სამსახური იწყება ჩემით.

ბავშვები

სახარება—საზიარო ძღვენია

სიტყვა *სახარება* ნიშნავს ყველა სწავლებასა და წესჩვეულებას, რომელნიც ჩვენ გვიბოძეს იესო ქრისტემ და მის წინასწარმეტყველებმა. სახარება ჰგავს მამა ზეციერის მიერ საჩუქრებით აღვსილ კალათას. თქვენ შეგიძლიათ დაეხმაროთ ამ საჩუქრების სხვებისთვის დარიგებაში. ვის შეგიძლიათ გაუზიაროთ სახარების ნობათი?

წაიკითხეთ წმინდა წერილების ეს მუხლები და ჩამოწერეთ ის ძღვენი ან დახატეთ ზოგი ის ძღვენი, რომელიც წარმოადგენს სახარების ნაწილს.

1. იაკობი 5:14–15
2. მოსია 16:6–7
3. 3 ნეფი 18:1–10
4. მოძღვრება და აღთქმები 20:72–73
5. მოძღვრება და აღთქმები 33:16
6. მოძღვრება და აღთქმები 89:4, 18–21
7. მოძღვრება და აღთქმები 132:46
8. მოძღვრება და აღთქმები 137:10
9. მოძღვრება და აღთქმები 138:32–34

© 2011 Intellectual Reserve, Inc.-ს მიერ ყველა უფლებები დაცულია. დაბეჭდილია აშშ-ში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/10. თარგმანი დამტკიცებულია: 6/10. თარგმანი *First Presidency Message, February 2011.* Georgian. 09762 131

ყოვლისა საგნისა აღდგენა

შეისწავლეთ ეს მასალა და საჭიროებისამებრ განიხილეთ ის დებთან, ვისაც სტუმრობთ. დაუსვით შეკითხვები, რათა შესძლოთ თქვენი დების განმტკიცება და ასევე იმისათვის, რომ მოწყალების საზოგადოება გახდეს თქვენი ცხოვრების აქტიური ნაწილი.

წინასწარმეტყველმა იოსებ სმითმა დააარსა მოწყალების საზოგადოება, როგორც ეკლესიის განუყოფელი ნაწილი. ჩვენ, როგორც პრეზიდენტობას, იმედი გვაქვს, რომ დაგეხმარებით იმის წვდომაში, თუ რატომ არის მოწყალების საზოგადოება თქვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი.

ჩვენ ვიცით, რომ ქალები ახალ აღთქმაში ამჟღავნებდნენ იესო ქრისტეს მიმართ რწმენას და მონაწილეობდნენ მის სამუშაოში. ლუკა 10:39 მოგვითხრობს მარიამზე, რომელიც „იესოს ფერხთით დაჯდა და ისმენდა მის სიტყვას.“ იოანეს 11:27 ვკითხულობთ მართას დამოწმებას ქრისტეს შესახებ: „ეუბნება მას: ჰო, უფალო, მე მწამს, რომ შენ ქრისტე ხარ, ძე ღვთისა, ამ სოფლად მომავალი.“ საქმეებში 9:36, 39 ვკითხულობთ მოწაფეზე „სახელად ტაბითა, იგი სავსე იყო კეთილი საქმეებითა … და ყველა ქვრივი წარდგა მის წინაშე და უჩვენებდნენ მოსასხამებსა და სამოსელს ის რომ უმზადებდა.“ ფებე, რომაელთა 16:1–2 იყო “ეკლესიის მსახური“ და „ბევრის შემწე.“

რწმენის, დამოწმებისა და მსახურების ამგვარი მაგალითები გრძელდება უკანასკნელი დღეების ეკლესიაში და ოფიციალურად ჩამოყალიბდა მოწყალების საზოგადოების დაარსებასთან ერთად. ჯული ბექი, მოწყალების საზოგადოების გენერალური პრეზიდენტი, გვასწავლიდა: „ზუსტად ისევე, როგორც ახალ აღთქმაში მაცხოვარმა მიიპატიჟა მარიამი და მართა უფლის საქმის შესასრულებლად, ამ ჟამთა წყობის ქალებს უფლის სამუშაოში მონაწილეობისათვის მინიჭებული აქვთ ოფიციალური ვალდებულება … 1842წ. მოწყალების საზოგადოების შექმნამ მოახდინა ქალების კოლექტიური ძალებისა და მათი სპეციფიკურ დავალებათა მობილიზება — უფლის სასუფევლის მშენებლობა.“[1]

ჩვენ ვასრულებთ ჩვენს სამუშაოს მოწყალების საზოგადოების არსზე ფოკუსირებით, რაც ნიშნავს: რწმენისა და პირადი სამართლიანობის გაზრდას, ოჯახების განმტკიცებასა და გაჭირვებაში მყოფ ადამიანთა მოძებნასა და დახმარებას.

მე ვამოწმებ, რომ მოწყალების საზოგადოება დაარსდა ღვთის ნებით, რათა დახმარება გაუწიოს ხსნის სამუშაოთა ჩატარებას. მოწყალების საზოგადოების ყოველ დას ამ წმინდა სამუშაოს შესრულებაში მინიჭებული აქვს თავისი მნიშვნელოვანი როლი.

სილვია ჰ. ალრედი, მოწყალების საზოგადოების გენერალური პრეზიდენტის პირველი მრჩეველი.

წმინდა წერილებიდან

იოელი 2:28–29; ლუკა 10:38–42; ეფესელთა 1:10

ჩვენი ისტორიიდან

და ჯული ბექმა გვასწავლა ასეთი რამ: „წინასწარმეტყველი იოსებ სმითისაგან ჩვენ ვიცით, რომ მოწყალების საზოგადოება იყო აღდგენის ოფიციალური ნაწილი.“[2] აღდგენის პროცესი დაიწყო პირველი ხილვით 1820წ. და გაგრძელდა „მცნება-მცნებითა და სტრიქონ-სტრიქონით.“ (იხილეთ მოძღვრება და აღთქმები 98:12). როდესაც 1842წ. 17 მარტს. ოფიციალურად დაარსდა მოწყალების საზოგადოება, წინასწარმეტყველმა აუხსნა ქალებს ის, რომ ისინი წარმოადგენენ აღდგენილი ეკლესიის აუცილებელ ნაწილს.

მან თქვა: „ეკლესია არასოდეს ყოფილა სრულყოფილად ორგანიზებული მანამ, სანამ არ მოხდა ქალების ამგვარი ორგანიზება.“[3]

მენიშვნები

1. ჯული ბ. ბექი, “Fulfilling the Purpose of Relief Society,” *Liahona,* ნოემბერი 2008, გვ. 108.
2. ჯული ბ. ბექი,“Fulfilling the Purpose of Relief Society,” გვ. 108.
3. *Teachings of Presidents of the Church: Joseph Smith* (2007), 451.

რა შემიძლია გავაკეთო?

1. ამ თვის განმავლობაში, რა სახის დახმარების გაწევა შემიძლია ჩემი დებისათვის, რაც იესო ქრისტეს მოწაფე-ქალის რწმენის მაგალითია?

2. აღდგენილი სახარების რა სწავლებებს შევისწავლი ამ თვის განმავლობაში ჩემი დამოწმების განმტკიცებისათვის?

დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ: www.reliefsociety.lds.org.

© 2011 Intellectual Reserve, Inc.-ს მიერ. ყველა უფლებები დაცულია. დაბეჭდილია აშშ-ში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/10. თარგმანი დამტკიცებულია: 6/10. თარგმანი *Visiting Teaching Message, February 2011*. Georgian. 09762 131